


ენანა ანჟიონენ  
თოზხანჲოზ სანჯთონი-ჯსხო ანანჲო



ხოცა მუშაობდა, ცდილობდა გარესამყაროსთან ურთიერთობა მთლიანად გაენწყვიტა. ეს უპირველეს ყოვლისა, ენასთან ურთიერთობას ეხებოდა. ენობრივი გარემო, რომელშიც დაიბადა და იზრდებოდა, რომელიც ისევე ახლობელი და ბუნებრივი იყო, როგორც ზედმეტი ძვლოვანი გამონაზარდი საჩვენებელ თითზე, თავის ტყუილსა და სიმართლეს ისე აჩვენებდა, რომ მისი ზეგავლენის ფონზე ახალი, უცნობი ენობრივი ფორმების კვლევა რთულდებოდა, ყველა ენობრივად მცდარი ფორმა სწორი ჩანდა, შესაბამისად, ცვლილებების დადგენაჭირდა.

ამიტომაც, როცა სამდღიანი სამუშაოს მერე სახლის კარი გამოაღო და ქუჩაში გავიდა, თითქოს სრულიად ახალ ქალაქში ამოყო თავი.

ადამიანები სამ დღეში შეცვლილიყვნენ.

ალარსად იყო ის თავისთავადი წესრიგი, რომელიც ზოგჯერ აღიზიანებდა კიდეც. არა, გარეგნულად არაფერი შეიცვალა, ისევ ის მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები, მიწისქვეშა, მიწისზედა და საჰაერო ტრანსპორტი, განრიგები გაჩერებებზე, მონესრიგებული გაზონები და სკვერები, სწრაფად მავალი ადამიანები და მანქანები. მაგრამ თუ გამვლელებს თვალს შეავლებდი, თუ გაგიმართლებდა და რომელიმე შემთხვევით მზერას დაიჭერდი, აუცილებლად იგრძნობდი გადამდებ ლელვას, მოუსვენრობას, იქნებ ტკივილს, ზოგჯერ ცრემლებად აბრჭყვიალებულ სიხარულს, ემოციებს, რომელიც სახეებზე იკითხებოდა, შეგრძნებებით გამონვეული მიმიკებისა და ჟესტების საოცარ კალეიდოსკოპს. ასე, უცებ ადამიანების შეცვლა საბას წარმოუდგენლად ეჩვენებოდა და ამიტომ ისევ საკუთარ თავს დააბრალა შთაბეჭდილებების სიმკვეთრე.

მოყაყანე ადამიანების პირველი ჯგუფი მერიასთან დაინახა. ადამიანთა ასეთი, ხმამაღლა მოსაუბრე და აღელვებული ერთობა იმდენად უჩვეულო იყო პატარა ქალაქისთვის, რომ ცნობისმოყვარეობამ სძლია, გზა სწრაფად გადაკვეთა და მოკამათეების სიახლოვეს, სკვერში სკამზე ჩამოჯდა. თავიდან ადამიანების არეული საუბრიდან ბევრი ვერც ვერაფერი გაარჩია. მერე კი ცალკეული სიტყვები აზრებად გარდაქმნა, თუმცა აზრებს შორის ლოგიკური კავშირის მოძებნა ერთი მოსმენით ჭირდა. საუბრობდნენ მაღალ წნევაზე, რომელმაც წინა ღამეს ღამის იყო გადაიყოლა მოხუცი მეზობელი, სანელებლების ფასზე, რომელმაც ოქროს

გადააჭარბა, ახალგაზრდებზე, ღამით შინ რომ აღარ ბრუნდებოდნენ, მთავრობაზე, რომელმაც მართვის სადავეები დაკარგა.

ლაპარაკობდნენ შიშებსა და გაურკვეველობაზე, საშიშროებებზე, საფრთხეებზე, არცერთი სიტყვა თავისუფლებაზე, სიამოვნებებისა და შეგრძნებების მრავალფეროვნებაზე, სიახლეებსა და გამონვევებზე, შესაძლებლობებზე, რომელთაც თავისუფლება იძლეოდა და საბა მიხვდა, რომ ადამიანებს ნესრიგი შეუცნობლის ჭვრეტაზე უფრო მეტად სჭირდებოდათ. თბილ პურზე, თბილ კანზე, საოცარ მელოდიაზე, წარმოუდგენელ ფერებსა და კომპოზიციებზე მეტად სჭირდებოდათ იმის ცოდნა, რომ ყველაფერი იმდენი აქვთ, რამდენიც სჭირდებათ, რამდენიც არ აწყენთ, რამდენიც არაფერს დაუშავებთ.

თავის საყვარელ კაფეში შევიდა და მენიუ ახლებურად, თითქოს პირველად ნაიკითხა. მჟავე ალუბლისა და მწარე შოკოლადის ტარტის ლოდინში იქაურობა მიათვალა. უჩვეულო სიმშვიდე იყო, ყოველთვის ხალხმრავალ კაფეში ახლა სულ რამდენიმე ადამიანი იჯდა, ძირითადად, სტუდენტები და იქაური კონდიტერის გენიალურ ქმნილებებზე უფრო ცხელი ყავითა და პიტნის ჩაით ტკბებოდნენ. თუმცა, იყო რაღაც, რაც ადრე არ შეუმჩნევია.

პირველად თავისი ცხოვრების მანძილზე დააკვირდა პროცესს, როგორ განსხვავებულად ჭამდნენ ადამიანები.

ერთი ბიჭი, ყურსასმენებითა და უზარმაზარი ბოტასებით, ოდნავ ნაყვავილარი სახითა და მოუხეშავი პროფილით ლიმნის მუსს ფეხების რიტმს აყოლებდა, მთელი ტანით ცეკვავდა კაფეს პატარა მაგიდასთან მჯდარი, ფეხებით კი რომელიღაც ცნობილი მელოდიის აყოლას ცდილობდა.

მეორე, ღამაზი გოგო ფერადი კაბითა და ხის მძივებით ჟოლოს ტარტიდან ჟოლოებს იღებდა, ნება-ნება მიირთმევდა და თან თვალს სიამოვნებით წკურავდა.

მესამე მაგიდასთან წყვილი იჯდა, კომპის მუსს ერთმანეთს სთავაზობდნენ და თან ლაპარაკობდნენ. ისეთი უცნაური სინათლე თუ თავისუფლება იყო მათ ურთიერთობაში, ჟესტებში, თავის უნებლიე

გადაქნევაში სიცილის დროს, ხელებში, რომლებიც ცხოვრებას პატრონების გარეშე აგრძელებდნენ, ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, ეფერებოდნენ, ჰაერისგან თითქოს რაღაცას ძერწავდნენ, ქმნიდნენ, სიბილა ხვდებოდა, რომ სისტემის არეულობას არაფერი შეუცვლია მათთვის, განსაკუთრებული სურვილები, გემოსა და ხმის მიმართ დაუკმაყოფილებელი, ხარბი ნყურვილი მათ თვალებში არ იკითხებოდა. როგორ უნდა მოახერხოს ადამიანმა, რომ ვერ შეამჩნიოს, არ იგრძნოს, არაფრად ჩააგდოს ასეთი ცვლილებები? იქნებ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, რომ საკუთარი, ალტერნატიული რეალობა გაქვს, იქნებ სიყვარული?

მეოთხე მაგიდასთან ახალგაზრდების ჯგუფი პლაკატებსა და ტრანსპარანტებს ამზადებდა, ხმაურობდნენ, ხმამალლა იცინოდნენ, ათასგვარ სლოგანს თუ ციტატას წამოიყვირებდნენ, ხმამალლა, ერთგვარი ჟინითა თუ ექსტაზით განიხილავდნენ მოვლენებს. სახელმწიფომ, სანამ სისტემას გამართავდა, თვალთვალისა და მართვის განსაკუთრებული რეჟიმი დაანესა, რასაც ძირითადად ახალგაზრდები აპროტესტებდნენ - სულ ორდღიანმა თავისუფლებამ, უსაზღვრო მგრძობელობის ხელმისაწვდომობამ მათში კრიტიკული, აჯანყებული სული გამოაღვიძა. ბოლო წვეთი პოეტზე თავდასხმა იყო. ახალი, კრიტიკული პუბლიკაციის შემდეგ, რომელიც დროების თავისუფლებას და საზღვრების დარღვევას ბოლო დროის ყველაზე კარგ მოვლენად აფასებდა, პოეტი სასტიკად სცემეს. როგორ ამბობდნენ, ეს ამბავი შეგრძნებების პოლიციის კვალთან მიდიოდა...

საბამ ყველაზე მნიშვნელოვანი რამ აღმოაჩინა. ვირუსი, რომელსაც ის იკვლევდა, ბავშვები, რომლებიც ამ ვირუსს ატარებდნენ კაცობრიობის შეკავებული ვნებების, გამოუთქმელი გრძობების, შიშების, სიტყვების, თანაგრძობის, დროის, კონფლიქტის, კონცენტრაციისა თუ დეტალების წვდომის, ურთიერთობის უარყოფის პასუხად იქცნენ. ყოველი სიმპტომი - კონკრეტული პასუხი იყო, ზედაპირულობის, სიჩქარის, ჩაკეტილობის, სიცივის, ავტომატურობის - ყველაფერში მიზეზი იკითხებოდა, სწორედ ამ მიზეზების ამოხსნას უნდა გაეადვილებინა შედეგის - ამ უცნაური ვირუსის გაგება და საბოლოო დამარცხება.

შინ მისვლისას კარადიდან პური გადმოიღო, რუხი, სანელებლებიანი, მძიმე და ოდნავ სველი პური, ჩამოჭრა და ყავის ჭიქა გვერდზე მოიდგა.

ძველი, მითიური, სასაცილო ენობრივი ექსპერიმენტი გაახსენდა, როცა ფინიკიელმა მეფემ ახალდაბადებული ჩვილი ცალკე ჩაკეტა, რომ არცერთი სიტყვა არ გაეგონა და იმ ერთადერთ, პირველქმნილ ენაზე ამეტყველებულიყო. პირველი სიტყვა პური იყო. ნეტავ ახლა რომელ, ყველაზე მნიშვნელოვან სიტყვას იტყოდა ადამიანი? რით დაიწყებდა სამყაროში თავის ენობრივ არსებობას? ან თვითონ რომელ სიტყვას იტყოდა? როცა სამყარო ერთ სიტყვაში იკეტება, იმ ერთ სიტყვას შეუძლია გაფართოვდეს და სამყარო წარმოქმნას, თუნდაც მრუდე, შეცვლილი, დეფორმირებული, მაგრამ მაინც სამყარო.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანმა წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია, მაინც პატარა ბავშვია, რომელიც სიბნელეში ჩაკეტილი ელოდება პირველ სიტყვას, გაუგებარი, შინაგანი სუნთქვის თესლისგან რომ უნდა გაღვივდეს, ყოველგვარი ზრუნვისა და გავლენისგან თავისუფალი.

რთული იყო მოგზაურობა ნაცნობ და მაინც უცნობ სამყაროში, მაგრამ საბამ გადანყვიტა, რომ ყველა გზა მხოლოდ მისი გასავლელი იყო.